ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF KUTAISI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **45-45223427**
თარიღი: **08/12/2022**

ადრესატი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტს,

ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს

ქალბატონო სალომე,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე, წარმოგიდგენთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით განსაზღვრულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის ანგარიშს.

ანგარიში წერილს თან ერთვის.

/დანართი 2 ფურცელი/

პატივისცემით,

ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ტელ: (0431) 24 10 00, ფაქსი (0431) 24 10 10, ელ ფოსტა:sakrebulo@kutaisi.gov.ge, www.kutaisi.gov.ge
მის: საქართველო, ქუთაისი, 4600, რუსთაველის გამზ, N3

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2022 წლის მანძილზე (2022 წლის 10 იანვარი 8 დეკემბერი) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ შემოსულია 62 წერილობითი მომართვა და განცხადება, რომელიც მოიცავს 538 მოთხოვნას საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. პასუხი გაეცა 60 წერილობით მომართვასა და განცხადებას, ანუ 515 მოთხოვნას ხოლო, ორ წერილობით მომართვასა და განცხადებაზე მიმდინარეობს მუშაობა და ადრესატებს პასუხი ეცნობებათ კანონით დადგენილ ვადებში.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ, სხვადასხვა დროს, გადაწყვეტილება მიღებული აქვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და თავმჯდომარის პირველ მოადგილეს.

2022 წელს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე, გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალკიტეტის საკრებულოს აპარატში, კანონმდებლობის სრული დაცვით მიმდინარეობდა მუშაობა საჯარო მონაცემთა ბაზის განახლების, პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის მიზნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის ,,ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვასთან დაკავშირებული საკითხები სასამართლოში გასაჩივრებული არ ყოფილა, გამომდინარე აქედან, სასამართლოს მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის გასაჩივრების თაობაზე ხარჯების, მათ

შორის მხარის სასარგებლოდ თანხების გადახდის შესახებ ვალდებულება დაკისრებული არ არის, შესაბამისად ამ მიმართულებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარჯები არ გაწეულა.

ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე